„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2024 წელი • №13-14 (9579-80) • 1-31 ივლისი • ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

ისრაელის ელჩის ვიზიტი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია და მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, ისრაელის ელჩს, ჰადას მეიცადს შეხვდნენ. ვიზიტის ფარგლებში, ისრაელის ელჩი, სინაგოგას სტუმრობდა, სადაც ებრაელთა თემის უხუცესმა, იოსკა მიხელაშვილმა, სენაკელი ებრაელების განსაკუთრებულ მეგობრობაზე ისაუბრა, რომელიც დღემდე გრძელდება. ჰადას მეიცადმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგნელთან, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ებრაული სასაფლაო მოინახულა, რომელიც ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის მატარებელია ებრაული თემისთვის და მათთვის, ვინც დაინტერესებულია საქართველოში ებრაული კულტურითა და ისტორიით. შეხვედრაზე ისაუბრეს ორი ერის - ქართველთა და ებრაელთა უპრეცედენტო მეგობრობის ფენომენზე, რაც სენაკისთვის განსაკუთრებულად ძვირფასია, რადგან ამ ქალაქის ღვიძლი შვილები არიან სენაკის საპატიო მოქალაქეები - გამოჩენილი ქართველი ებრაელი, ჯემალ აჯიაშვილი; ძირძველი სენაკელი, მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი, იაკობ გაგულაშვილი; ისრაელში მოღვაწე, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „შალვას“ სამხატვრო ხელმძღვანელი, წლების მანძილზე ჩვენი ქალაქის ქორეოგრაფის, შალვა ეფრემაშვილის ვაჟი, დავით ეფრემაშვილი და არაერთი გამორჩეული სენაკელი ებრაელი.

სისხლის დონაციის აქცია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინიციატივით, მერიის სხდომათა დარბაზში, ჩატარდა სისხლის უანგარო დონაციის აქცია: „აჩუქე სიცოცხლე, აჩუქე ღიმილი!“ სისხლის დონაციის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადილე, ნანა ზარანდია, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსთან, ნატალია ხუბუასთან ერთად დაესწრო. ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, სენაკის მუნიციპალტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა ნაჭყებიამ, მუნიციპალიტეტის მერიის, მერიას დაქვემდებარებული სტრუქტურების თანამშრომლებმა, სისხლი უანგაროდ გაიღეს. დონაციის აქცია ადამიანების სიცოცხლის გახანგრძლივებას, უმეტეს შემთვევაში კი, სიცოცხლის გადარჩენას უზრუნველყოფს. მსგავს კამპანიაში მონაწილეობის მზადყოფნის სურვილს მუნიციპალიტეტის მერია მუდმივად გამოთქვამს.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ფეინთბოლის ჩემპიონატი

საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ცენტრალური სტადიონის ახლადრეაბილიტირებულ სათადარიგო მოედანზე, ფეინთბოლის ჩემპიონატი გაიმართა. თამაშში 5 გუნდი მონაწილეობდა. ფეინთბოლის სენაკის ჩემპიონატის პირველი ადგილის მფლობელი გუნდი „ქოლორბლაინდი“ გახდა, მეორე ადგილზე კი - გუნდი „გეტო“ გავიდა ჩემპიონატს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, კულტურის და ახალგაზრდობის მიმართულებით - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი, გვანცა მალანია დაესწრნენ.

შეხვედრა გიორგი ჭანტურიასთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, წარმატებულ სენაკელ მოჭადრაკეს, სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლეს, გიორგი ჭანტურიას და მწვრთნელ-მასწავლებელს, მერაბ ჯღამაძეს შეხვდნენ, მოჭადრაკეს მოპოვებული გამარჯვებები მიულოცეს და ევროპის ჩემპიონატზე, წარმატებები უსურვეს. ჩვენი ქალაქის სპორტის ისტორიაში, გიორგი ჭანტურია, 15 წლამდე ასაკის ჭაბუკთა შორის, საქართველოს პირველი ჩემპიონია, რომელსაც ასევე მინიჭებული აქვს ჭადრაკში სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება. გიორგიმ, მიმდინარე წლის მაისის თვეში, ქალაქ ბათუმში გამართულ საქართველოს 33-ე ჩემპიონატზე ჭადრაკში, 16 წლამდე ჭაბუკებს შორის, მესამე ადგილი მოიპოვა. წარმატებული სენაკელი მოჭადრაკე, აგვისტოს თვეში, მიემგზავრება ჩეხეთში, ევროპის ჩემპიონატზე. 2 ათეული წლის შემდეგ, ჩვენი ქალაქიდან, ამ ასაკობრივ კატეგორიაში, ისტორია ისევ მეორდება. ევროპის ჩემპიონატამდე კი, გიორგი ჭანტურია, ორ საერთაშორისო ტურნირში - ბათუმსა და ფოთში მიიღებს მონაწილეობას. წარმატებები, გიორგის და მწვრთნელ-მასწავლებლებს: მერაბ ჯღამაძეს და ჯამბულ მახარაძეს.

ევროპის ჩემპიონატი

„დიუსელდორფის ნაკვალევზე“

რა არის ფეხბურთი? - ერთ ბურთს დასდევს ოცდაოთხი მოთამაშე ერთადერთი მიზნით - რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად გაიტანოს გოლი მოწინააღმდეგის კარში და მისცეს გუნდს იმედი გამარჯვებისა, ამ და სხვა ფაქტორების ერთობლიობა ჯამში ქმნის უდიდეს ემოციურ ფონს და ესთეტიკურ სანახაობას, რომელსაც მსოფლიო აღმატებული ინტერესით ადევნებს თვალს...

საქართველო ოდითგანვე გამოირჩეოდა დიდი ინტერესით ამ გამორჩეული სპორტის მიმართ, რაც სხვადასხვა დროს ასახვას პოულობდა ჩვენს ყოფით ცხოვრებაზე - იქმნებოდა გულშემატკივართა გაერთიანებები (ფანკლუბები), იდგმებოდა ფილმები, იწერებოდა სიმღერები, ყველგან მიმდინარეობდა დისკუსიები - მოკლედ, ქვეყანა სუნთქავდა მისით...

1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ თბილისის „დინამომ“ 2:1 დაამარცხა იენის „კარლ ცაისი“ და ევროპის თასების მფლობელთა თასს დაეუფლა, რამაც გამოიწვია ფეხბურთის მიმართ ქართველების ინტერესის გაასმაგება - ის ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდა... ფეხბურთში თითოეული წარუმატებელი ნაბიჯი 1981 წლის 13 მაისის მიმართ ნოსტალგიას გვიორმაგებდა... საბჭოთა კავშირის დაშლისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლად გამოვიდა საერთაშორისო არენაზე - გვქონდა დიდი სირთულეები, წარუმატებლობა, ამიტომ მის მიმართ დაგვეუფლა გარკვეული ნიჰილიზმი, მაგრამ, როგორც იტყვიან - „იმედი ბოლოს კვდებაო“ და აი - იმედი ცოცხლობს, ცოცხლობს და თანაც როგორი მაშტაბებით -

2024 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად, საქართველოს ნაკრებმა ხელისუფლების დიდი მატერიალურ-მორალური მხარდაჭერით, მუხლჩაუხრელი შრომით და ფრანგი მწრთვნელის ვილი სანიოლის თავკაცობით, მოახერხა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მოიპავა საგზური - გავიდა გერმანიაში გასამართ ფინალურ ეტაპზე, ტურნირში მონაწილე 24 საუკეთესო ეროვნულ ნაკრებებს შორის. ჩვენთვის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი გაიმართა უდიდესი დრამატიზმით, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების თავდადებული ფიზიკური და ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით გუნდი დაწინაურდა ჯგუფის მესამე ადგილზე და მოხვდა ტურნირის ოთხ საუკეთესო მესამე ადგილოსნებს შორის, რამაც საშუალება მოგვცა გავსულიყავით 1/8 ფინალში, რაც ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის საფეხბურთო ისტორიაში უდიდესი შედეგი გახდა, „ფლეიოფში“ დავუპირისპირდით ესპანეთის უძლიერეს ნაკრებს, რომელიც სტაბილურად, მსოფლიო გრანდთა სამეულში გადის, დავმარცხდით, მაგრამ ჩვენი თავდადება იმოდენა იყო, რომ - როგორც დიდი ესპანელი მწერალი მიგელ დე სერვანტესი იტყოდა, ჩვენი დამარცხებით მოწინააარმდეგეზე გავიმარჯვეთო!...

მადლობა ბიჭებს ახალი ეპოქის ისტორიის შექმნისთვის! მათ, შეიძლება ითქვას, გაიმეორეს „დიუსელდორფის გზა“ - მისი ნაკვალევით ბილიკი გაიკაფეს მომავალი წარმატებისკენ...

მუნიციპალიტეტის მერიაში
(გაგრძელება)

ანგარიშის პრეზენტაცია

სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორმა, ალექსანდრე ჯანჯღავამ, საქმიანობის ერთი წლის ანგარიში წარადგინა. მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ორგანიზებით გამართული ანგარიშის პრეზენტაციას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდია; მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი; განათლების მიმართულებით - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი, ირმა კუპრეიშვილი და სკოლამდელი აღზრდის სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორმა, ალექსანდრე ჯანჯღავამ, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული საბავშვო და ბაგა-ბაღების გამგეები და პედაგოგები დააჯილდოვა. ხანგრძლივი, ნაყოფიერი, კეთილსინდისიერი საქმიანობისა და სკოლამდელი აღზრდის სფეროში შეტანილი წვლილისთვის, დაჯილდოვდნენ: მეორე საბავშვო ბაღის გამგე, თინაზი დარასელია; ბაღ „ოცნებას“ გამგე, რუსუდან ბოკუჩავა; ნოქალაქევის საბავშვო ბაღის გამგე, ვიოლეტა ბენდელიანი; პირველი საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელი, ნორა გარუჩავა; პირველი საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებელი, ინეზა მაშავა. გამოვლინდნენ ნომინაციაში - „წლის აქტიური გამგე“ გამარჯვებულები: მენჯის საბავშვო ბაღის გამგე, მანანა დარსალია და პირველი ბაგა-ბაღის გამგე, თამარ ტყებუჩავა. დედისა და ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიების აქტიურ და გამორჩეულ მონაწილეებს - პირველი ბაგა-ბაღის გამგეს, თამარ ტყებუჩავას; მეორე-ბაგა-ბაღის გამგეს, ქეთევან ბერაიას; მეოთხე ბაგა-ბაღის გამგეს, აზა ცაავას; მეექვსე ბაგა-ბაღის გამგეს, ნინო კორშიას; ნოსირის საბავშვო ბაღის გამგეს, მანანა ბოხუას; თეკლათის საბავშვო ბაღის გამგეს, ნათია ერემაძეს - გადაეცათ სიგელები. დაჯილდოვდა N6 ბაგა-ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელი, კონკურსის „მწვანე ჯილდო" ფინალისტი, საერთაშორისო კონკურსის „არტ“ მესამე ადგილის მფლობელი, თამარ ქანთარია - საერთაშორისო კონკურსის „არტ"-ის ფარგლებში გამართული პროექტის - „ყვავილების საიდუმლო ბაღი“, მეორედ მოპოვებული გამარჯვებისთვის. მას ასევე გადაეცა მადლობის სიგელი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის და სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სენაკის ორგანიზაციის მიერ გამართულ „ვეფხისტყაოსნის“ დღისადმი მიძღვნილ საჯარო კითხვის მარათონში აქტიური და წარმატებული მონაწილეობისთვის. აღნიშნულ მარათონში აქტიური და წარმატებული მონაწილეობისთვის, დაჯილდოვდნენ: პირველი ბაგა-ბაღის გამგე, თამარ ტყებუჩავა; მეორე საბავშვო ბაღის პედაგოგი, მარინე ესებუა; ნოსირის საბავშვო ბაღის პედაგოგები: ირინე მიმინოშვილი და ანა ოდიშარია. ნომინაციაში - „წლის საუკეთესო აქტივობა“ - გამოვლინდა სამი გამარჯვებული საბავშვო ბაღი - „ოცნება“, ძველი სენაკის მეორე და ნოსირის საბავშვო ბაღები. აქტივობის „მხიარული თამაშები“ - ორგანიზებისა და აქტიური ჩართულობისთვის, დაჯილდოვდნენ: მეოთხე ბაგა-ბაღის გამგე, აზა ცაავა; ფოცხოს პირველი საბავშვო ბაღის გამგე, ნარი ნარსია; კოტიანეთის საბავშვო ბაღის გამგე, ჟანა კვირკველია. სერთიფიკატები გადაეცა აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგგავლილ 23 აღმზრდელ-მასწავლებელს. საბავშვო და ბაგა-ბაღებთან აქტიური, ნაყოფიერი თანამშრომლობისა და სკოლამდელი აღზრდის სფეროში წარმატებული საქმიანობისთვის, დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტში მოღვაწე ქორეოგრაფები: მაია ქვარცხავა, ზვიად გვასალია, ჯამბულ ქარდავა, გიორგი ბუკია. ანგარიშის პრეზენტაციისა და დაჯილდოების დასასრულს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, სკოლამდელი აღზრდის სექტორის ყველა თანამშრომელს, გაწეული საქმიანობისა და ნაყოფიერი სააღმზრდელო წლისთვის, მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა. მერის მოადგილემ ისაუბრა სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სექტორში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ. აღნიშნა, რომ „მომავალი თაობის განვითარება სწორედ ბაღიდან იწყება. საბავშვო და ბაგა-ბაღებში საუკეთესო პირობების შექმნა ჩვენი ხელისუფლების უპირობო პრიორიტეტია. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურად გაგრძელდება. ჩვენი საქმიანობის წარმმართველი - გამოწვევებზე დროული რეაგირება. საზოგადოებასთან მუდმივი კომუნიკაციაა.“

საინფორმაციო შეხვედრა



სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და წარმომადგენლების ასისტენტებთან, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონული ცენტრის უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა კახა ინალიშვილმა, შეხვედრის მონაწილეებს, სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონული ცენტრის სენაკის მუნიციპალური განყოფილების უფროსი, მაიორი ჯაბა ლაშქარავა წარუდგინა და აღნიშნა, რომ მაიორი ჯაბა ლაშქარავა, სხვადასხვა წლებში, პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა და ის გამოცდილი კადრია. შეხვედრის ფარგლებში, სერჟანტმა დავით მოსიავამ, ისაუბრა სააგენტოს ფუნქციებსა და შესაძლებლობებზე, სამხედრო სამსახურის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილ ცვლილებებსა და ახალ მიდგომებზე, ასევე ყველა იმ შესაძლო მიმართულებაზე, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მოქალაქეს შეუძლია გახდეს საქართველოს თავდაცვის ძალების წევრი. აღნიშნა, რომ სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2024 წლის 1 იანვრიდან. სააგენტოს მიზანია პროფესიულ სამხედრო სამსახურსა და წვევამდელთა ეროვნულ სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა და რეკრუტირება. პარტნიორი სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სააგენტომ შეიმუშავა და დანერგა ერთიანი, თანამედროვე სტანდარტების სამხედრო აღრიცხვიანობის სისტემა. სააგენტო საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობით და თითოეულ მოქალაქეს სთავაზობს გამარტივებული პროცედურებით მომსახურების მაღალი ხარისხის მიღების შესაძლებლობას 8 რეგიონული ცენტრისა და 81 მუნიციპალური განყოფილების ფარგლებში. სააგენტო წარმატებით ახორციელებს საზოგადოებასთან გამჭირვალე და პროაქტიულ კომუნიკაციას და გეგმავს მსგავსი სახის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას მიმდინარე და მომავალი წლის განმავლობაში. შეხვედრას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია; საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია; მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია; საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი; საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გიგა წურწუმია; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი; საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი კალანდარიშვილი; სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონული ცენტრის სენაკის მუნიციპალური განყოფილების უფროსის მოადგილე, გელა კინწურაშვილი, სააგენტოს სენაკის მუნიციპალური ცენტრის წარმომადგენელი, ეკატერინე სიჭინავა.

სოციალური პროგრამის ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე, ნანა ზარანდია უძღვებოდა. ამ ეტაპზე, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისია, 9 მოქალაქეს დაეხმარება. პროგრამა, მიმდინარე წელს დაინერგა და მისი მიზანია - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, 65 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის, საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის სრული რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოებით უზრუნველყოფა. სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამიდან“ დახმარების გაცემის წესის საფუძველზე, პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად, მუნიციპალიტეტის მერიაში, მოქალაქეთა განცხადებების მიღება წარმოებდა მიმდინარე წლის 1 მაისამდე. კომისია, შემოსული განცხადებების საფუძველზე, 21 მოქალაქის ოჯახის საჭიროებებს ადგილზე გაეცნო. სხდომაზე ასევე განისაზღვრა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ის ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების სრულ რეაბილიტაციას სენაკის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს და ერთ ოჯახზე გასაწევი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება იქნება არაუმეტეს 15 000 ლარი.

ახალი სანიაღვრე სისტემა

ფოთის ქუჩაზე ახალი სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, 130 გრძივ მეტრზე, ეწყობა ახალი სანიაღვრე სისტემა, ღირებულებით - 76 725 ლარი. აღნიშნულ ლოკაციაზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან, საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარესთან, გიგა წურწუმიასთან, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან ერთად იმყოფებოდა და სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. სანიაღვრე სისტემის მოწყობის პროექტები, პარალელურად, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს შემდეგ ლოკაციებზე: ძველი სენაკის ადმინისტარციულ ერთეულის სოფელ კოტიანეთში, საარახამიოს უბანში - მიმდინარეობს გაბიონის მოწყობის და სანიაღვრე არხის ამოწმენდითი სამუშაოები, ღირებულებით - 30 206 ლარი; არჩაიას ქუჩაზე ეწყობა ახალი სანიაღვრე სისტემა, ღირებულებით - 37 385 ლარი; დემურიას ქუჩაზე მიმდინარეობს სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 24 887 ლარი; ჭყონდიდელის ქუჩაზე ეწყობა ახალი სანიაღვრე სისტემა, ღირებულებით - 163 887 ლარი; 26 მაისის ქუჩაზე მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული კედლის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტი, ღირებულებით - 102 125 ლარი.

პროექტის ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტის ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთულში, მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი დაიწყო - ზემო ფოცხო-ალერტის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა. პროექტის ფარგლებში, 4 347 გრძ.მ-ზე, დაიგება ბეტონის საფარი, მოეწყობა ხიდ-ბოგირები და სანიაღვრე სისტემა.

ზემო ფოცხო-ალერტის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, ღირებულებით - 2 236 994 ლარი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარესთან, საბა ოდიშარიასთან, მერის პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან ერთად, ადგილზე გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

ადგილობრივების თქმით, აღნიშნულ ლოკაციაზე, საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები პირველად ხორციელდება. პრობლემა, სენაკის მერთან, ერთ-ერთი შეხვედრის დროს დაისვა და მყისიერი რეაგირებაც მოყვა - აღნიშნეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში
(დასასრული)

„ქართული კუთხეების ფესტივალზე"

7 ივლისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტნიორობითა და „წისქვილი ჯგუფის" ორგანიზებით, ძველ თბილისში, „ქართული კუთხეების ფესტივალი" გაიმართა. სენაკის მუნიციპალიტეტი, ფეტივალს, წელს პირველად, მეგრული ფოლკლორით, ტრადიციული მეგრული სამზარეულოთი და ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქციის გამოფენით შეუერთდა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემოქმედებითმა ჯგუფებმა: „მუსიკელი", „ეგრისი"; მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლმა: „გოგალაი". წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მეწარმეების - ვენერა ლიპარტიას და შპს „კონსტანტინე დისტილერის" - ახალგაზრდა მეწარმის, გურამ კილასონიას პროდუქცია. ფესტივალს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულებით - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი, გვანცა მალანია დაესწრნენ. „ქართული კუთხეების ფესტივალში" 60-მდე ღვინის მწარმოებელი კომპანია, ასევე თაფლის, ჩირის, ყველისა და სხვა პროდუქციის მწარმოებელი მცირე მეწარმეები მონაწილეობდნენ. ფესტივალმა იმერეთს, რაჭას, გურიას, სვანეთს, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთს უმასპინძლა. მონაწილეებმა, ქორეოგრაფიული და ფოლკლორული წარმოდგენებით, ასევე გასტრონომიით წარმოაჩინეს მდიდარი ქართული ავთენტური მემკვიდრეობა. „ქართული კუთხეების ფესტივალს" „წისქვილი ჯგუფმა" 2023 წელს ჩაუყარა საფუძველი, რომლის მთავარი იდეაც, საქართველოს კუთხეების კულტურის, ფოლკლორის, ქორეოგრაფიისა და გასტრონომიის პოპულარიზაციაა.

კონცერტი გაიმართა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სკვერში, ჯგუფ „ურსას" და მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან არსებული ქართული ხალხური ცეკვების მუნიციპალური ანსამბლის კონცერტი გაიმართა. შოუ კონცერტს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია, საკრებულოს წევრი, მარინე ნანეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის, ქორეოგრაფიული სექტორის წარმომადგენლებთან და გულშემატკივრებთან ერთად დაესწრნენ. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან არსებული ქართული ხალხური ცეკვების მუნიციპალური ანსამბლი, მიმდინარე წლის თებერვლის თვეში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას უშუალო ჩართულობითა და მერის ინიციატივით, სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლხის" ბაზაზე შეიქმნა. ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხი" 1984 წელს ჩამოყალიბდა. დღიდან დაარსებისა, ანსამბლი აქტიურად ჩაება ქართული ხალხური ცეკვების პოპულარიზაციის საქმეში - კონცერტებით მოიარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონი, მონაწილეობდა ფესტივალებსა და კონკურსებში, არის კონკურსების გამარჯვებული და არაერთგზის ლაურეატი. ანსამბლს სათავეში უდგას ჩვენს მუნიციპალიტეტში მოღვაწე ქორეოგრაფი, გიორგი კორშია. ერთ-ერთმა წარმატებულმა და ცნობილმა ჯგუფმა „ურსამ"- გიორგი ძოწენიძის, შოთიკო ქვარცხავას, გიორგი გრიგალაშვილის, კობა შენგელიას და ლევან ფერაძის შემადგენლობით, თავისი რეპეტრუარიდან, ყველასათვის ცნობილი და საყვარელი სიმღერები შეასრულა. სიმბოლურია, რომ 26 ივნისის ისტორიული გამარჯვების შემდეგ, ქალაქში საზეიმო სასწაულო მუხტი და განწყობა გრძელდება.

მუნიციპალიტეტის მერიის
საზოგადოებასთან ურთიერთობის და
ინფორმაციული უზრუნველყოფის
განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 18 ივნისს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2024 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელებასთან დაკავშირებით აუდიტის ანგარიშის მოსმენა.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბადრი კალანდარიშვილი.

***

2024 წლის 27 ივნისს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

სხდომის დაწყებამდე, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარიამ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული

საფეხბურთო ნაკრების ისტორიული გამარჯვება ყველას მიულოცა და ნაკრების ფეხბურთელებს შემდგომი წარმატებები უსურვა.

საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო შვიდი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

2. შ.პ.ს. „სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ინგა ქარდავა.

3. 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ეფექტიანობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბადრი კალანდარიშვილი.

4. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

5. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამიდან დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მარტის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.

6. სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.

7. „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე. ირაკლი კალანდარიშვილი.

***

2024 წლის 15 ივლისს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების და სქემატური რუკის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, საინფორმაციო სახის შეხვედრები გაიმართა ახალსოფლის, ჭალადიდის, ფოცხოს, ძველი სენაკის, ნოსირისა და გეჯეთის თემების მოსახლეობასთან.

შეხვედრებზე, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ინგა ქარდავამ და საბჭოს მდივანმა, მანანა გვიჩიამ, საბჭოს მიერ გასულ წელს პირველად გამოცხადებულ და წარმატებით განხორციელებულ, საგრანტო კონკურსის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის" შესახებ ისაუბრეს. კონკურსი სექტემბრის თვეში კვლავ გამოცხადდება და სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ და რეგისტრირებულ ქალბატონებს აქტიურობისაკენ მოუწოდეს. გენდერული საბჭოს წევრმა, მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა, ნატალია ხუბუამ მოსახლეობას დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია 16 მუნიციპალურ სოციალურ პროგრამაზე, რომლითაც შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ.

სენაკში, საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, ჯანმრთელობისა და განვითარების ცენტრი უკვე მეოთხე წელია ფუნქციონირებს. მოსახლეობასთან შეხვედრაზე, ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო სხირტლაძემ და ქრისტინე სიორდიამ აღნიშნეს, რომ საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერით სენაკში შესაძლებელია „ადოს" კვლევის ჩატარება, რაც აუცილებელია აუტიზმის სპექტრის დასადგენად. ცენტრს უკვე ჰყავს, რამდენიმე ბავშვი, რომელსაც მოეხსნა აუტიზმის სპექტრი. საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ორგანიზებული, მსგავსი სახის საინფორმაციო შეხვედრები, სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართება.

***

2024 წლის 16 ივლისს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის" 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრების უმრავლესობის გადაწყეტილებით, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის" 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

2. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების" 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშისა და შეფასების თაობაზე.

სხდომაზე დამსაწრე კომისიის წევრების უმრავლესობის გადაწყეტილებით, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების" 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ ორივე საკითხზე მომხსენებელი იყო, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

„ნიჭს აძლევს მხოლოდ ზენა კაცს"

ამ ოლიმპიადამ ჩემს ცხოვრებაში ახალი კარი გაალო

ერთი შვილი მყავდეს და ნეტავ შენისთანაო - რომ ინატრებთ იმისთანა ბიჭი, ზურაბ ხარგელია უნდა გაგაცნოთ. დისციპლინირებული, სწავლაზე ორიენტირებული, შრომისმოყვარე, ნიჭიერი, ქცევით, ხასიათით, თავმდაბლობით... გამორჩეული, არ უყვარს თავის წარმოჩენა, მიუხედავად იმისა, რომ მის ასაკში ბევრზე აღმატებული ცოდნა აქვს. ის გულღია და უშუალო, სამეგობროდ საუკეთესოა. მან მიმდინარე წელს დაამთავრა ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლა, არის ოქროს მედლის კანდიდატი, ინტელექტუალური შეჯიბრის „რა, სად, როდის" გამარჯვებული გუნდის წევრი, 2019 წელს საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე კრივში და მეორე ადგილოსანი, მის სასკოლო წარმატებებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ აქცენტი ბოლო გამარჯვებაზე მინდა გავამახვილო. მან ჯერ კიდევ მე-12 კლასის მოსწავლემ, წარმატებით გაიარა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის სამივე ტური და საბოლოო შედეგების მიხედვით, რომელიც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოქვეყნდა, დასახელდა საუკეთესო ოთხეული, პირველი ადგილი ზურაბმა მოიპოვა, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები კი საჩხერელმა, ქუთაისელმა და თბილისელმა მოსწავლეებმა. აღნიშნულმა წარმატებამ განაპირობა ოთხეულის მონაწილეობა ბიოლოგიის 35-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე. ზურაბი ახლახან დაბრუნდა აღნიშნული ოლიმპიადიდან, რომელიც გაიმართა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში. მას ვთხოვეთ მოეთხრო ოლიმპიადის მაშსტაბზე, მის შთაბეჭდილებებზე და იმ პროცესზე, რომელშიც მიიღო მონაწილეობა. აი რა მოგვითხრო მან.

ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადა (International Biology Olympiad(IBO)) - არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრება სკოლის მოსწავლეებს შორის, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წ;ლებში იღებს. პირველი ოლიმპიადა ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდა და მას შემდეგ ამ ღონისძიებამ შეიძინა მომავალი ბიოლოგიის ტალანტების აღმოჩენის ფუნქცია

ოლიმპიადაში მონაწილეები წარმოდგენილი არიან სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომელთა რაოდენობა ფიქსირებული არაა და შეიძლება თითოეულ წელს განსხვავებული იყოს, რაც დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ჩატარების ადგილი. სტანდარტულად თითოეული ქვეყანა წარმოდგენილია 4 მონაწილით, მაგრამ შესაძლებელია გუნდის წევრების რაოდენობა უფრო ნაკლებიც იყოს, მაგალითისთვის წელს კოსტა რიკა და ლიხტენშტეინი თითო-თითო მონაწილით იყვნენ წარმოდგენილი.

ოლიმპიადა ორი დღე - 9 და 11 ივლისს მიმდინარეობდა. 9 ივლისს

გვქონდა 4 პრაქტიკული გამოცდა: ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია და ბიოინფორმატიკა. თითოეული გამოცდისთვის გამოყოფილი იყო 90 წუთი და გამოცდებს შორის კი შესვენება და

კვება. მთელი დღის განმავლობაში აკრძალული მქონდა გუნდელებთან შეხვედრა. გამოცდები ნამდვილად არ იყო მარტივი, მაგრამ არც ჩვენ შესაძლებლობებს აღემატებოდა, მთავარ სირთულეს წარმოადგენდა დროის მენეჯმენტი, რაც ყველაზე კარგად დიდი პრაქტიკის მქონე მონაწილეებს გამოსდიოდათ. საბოლოო ჯამში ყოველგვარი სირთულისა და ნერვიულობის მიუხედავად ამ დღით ძალიან ვისიამოვნე, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ანატომია-ფიზიოლოგიის გამოცდაზე მოგვიწია ცხვრის თვალის გაკვეთა, რაც ნამდვილად გასაოცარი გამოცდილება იყო ჩემთვის

მომდევნო დღეს განტვირთვისთვის მოგვიწყვეს ასტანის ტური, რამაც ჩემზე უზარმაზარი შთაბეჭდილება დატოვა.

11 ივლისს გვქონდა უკვე საბოლოო, თეორიული გამოცდები, რომლებიც ორ ნაწილად ჩატარდა. თითოეული მოიცავდა 50 კითხვას 4-4 დებულებით. ჩვენ ამოცანას წარმოადგენდა კითხვების პირობის მიხედვით დაგვედგინა ამ დებულებებიდან რომელი იყო ჭეშმარიტი და რომელი მცდარი. ამ შემთხვევაშიც მთავარ პრობლემას დროის მენეჯმენტი წარმოადგენდა, როგორც აღმოჩნდა, ბევრი ჩვენგანისთვის 3 სათი და 15 წუთი არ იყო საკმარისი საკმაოდ რთულ კითხვებზე პასუხის გასაცემად

მომდევნო ორი დღის განმავლობაში დაგვათვალიერებინეს მნიშვნელოვანი ადგილები - წაგვიყვანეს ასტანიდან საკმაოდ შორს, დაახლოებით 4-5 საათის სავალზე, მოვინახულეთ ირმები, ვნახეთ ტრადიციული კარვები და ვივარჯიშეთ მშვილდოსნობაში.

შემდეგ დღეს დაიგეგმა გასართობი ახალგაზრდული ღონისძიებები, რომლებმაც ისედაც დაახლოებული მონაწილეები, კიდევ უფრო დაგვაახლოვა

საბოლოოდ, 13 ივლისს, იყო დაჯილდოების ცერემონია, რომელიც გახსნის ცერემონიისა არ იყოს, დაუვიწყარი აღმოჩნდა.

სამწუხაროდ წელს ვერანაირი მედალი ვერ წამოვიღეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ.

ამ ოლიმპიადამ ჩემს ცხოვრებაში ახალი კარი გააღო, რომელზეც ამ ასაკში ვერც კი ვიოცნებებდი. მან პირველ რიგში მომცა უდიდესი გამოცდილება და მასწავლა დროის, როგორც რესურსის ფასი, მანვე გამაცნო და დამაახლოვა უამრავ გასაოცარ პიროვნებასთან მთელი მსოფლიოდან, რომლებთანაც კონტაქტი დღემდე მაქვს და აგრეთვე მომცა საშუალება გადამეხედა ჩემ კარიერულ არჩევანისთვის. ასტანაში წასვლამდე ნეიროქირურგიის გარდა სხვა ვარიანტს არც განვიხილავდი მომავალ პროფესიად, მაგრამ ახლა, ძალიან ბევრ თვითგარკვეულ ადამიანთან საუბრის შემდეგ, რომლებსაც თუ არა IBOB-ზე

სხვაგან ვერ შევხვდებოდი, გავაცნობიერე, რომ ამ არჩევანის გადახედვა ცუდი იდეა ნამდვილად არაა.

საბოლოოდ შემიძლია ვთქვა, რომ IBO და მსგავსი ოლიმპიადები წარმოადგენს განუმეორებელ შანსს ახალგაზრდებისთვის მიიღონ შეუფასებელი გამოცდილება, გაიცნონ ახალი მეგობრები და გაიფართოონ ინტერესების არე.

რადგან აღნიშნული ოლიმპიადა ეროვნულ გამოცდებს დაემთხვა, განათლების მინისტრის ბრძანებით ზურაბს სასურველი უმაღლესი სასწავლებლის (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეის)პირობითი სტუდენტის სტატუსი და 100% - იანი გრანტი მიეკუთვნა. დამეთანხმებით ალბათ ეს უდიდესი ნაბიჯია საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ახლად გამოსული ახალგაზრდისთვის. ასეთნი ქვეყნის საამაყო პიროვნებებად ყალიბდებიან და მნიშვნელოვან განაცხადს აკეთებენ თავიანთ საქმეში. ზურაბს ვუსურვებთ არჩეულ გზაზე წინსვლას, რათა მან შეძლოს თავისი შესაძლებლობების სრული გამოვლენა.

ნინო სართანია

წიგნის პრეზენტაცია

„სენაკის მატიანე"

სიტყვა „მატიანე" ფართო მნიშვნელობის მქონეა, რომელიც გამოიყენება ყოველგვარი საისტორიო თხზულების აღსანიშნავად. წიგნი „სენაკის მატიანე" (I ნაწილი) გამოცემულ იქნა „ივერიონის" მიერ 2016 წელს. ფართო საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე წიგნის ავტორებმა, მწერალმა ბორის დავითაიამ და ჩვენმა თანაქალაქელმა, ბიზნესის აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბადრი ბარკალაიამ ჩათვალეს, რომ პირველ წიგნმა სრულად ვერ დაიტია რაიონში მოღვაწე წარმატებული ადამიანების ცხოვრების ეპიზოდები.

10 ივლისს ჟიული შარტავას მუზეუმის დარბაზში გაიმართა წიგნი „სენაკის მატიანე" მეორე ნაწილის პრეზენტაცია.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრა ჟიული შარტავას მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა დამირ კუჭავამ.

პრეზენტატორმა და წიგნის ავტორმა ბორის დავითაიამ შესაბამისი სლაიდების მეშვეობით შეკრებილთ გააცნო წარსულში ჩვენი ქალაქის მშენებლობის, მრეწველობის, ტრანსპორტის სფეროების პოტენციალი, იქ მოღვაწე ადამიანები.

აღნიშნა რომ წიგნის მეორე ნაწილში განთავსდა სენაკის სიწმინდეები, სახელოვანი სენაკელები, ღვაწმოსილი საეკლესიო პირები, სამოქალაქო ომის დროს სენაკში განვითარებული მოვლენები, მეცხრამეტე საუკუნეში გამოთქმული მოსაზრებები სამეგრელოსა და მეგრული ენის შესახებ, ისტორიული ძეგლები და დასასვენებელი პარკები, სენაკის რაიონში გადაღებული ფილმები, სენაკის საპატიო სტუმრები, აგვისტოს ომში დაღუპული გმირები - ერთი სიტყვით წიგნში საინტერესოდ არის წარმოჩენილი ჩვენი ქალაქის წარსული, აწმყო და მომავლის პერიპეტიები.

„სენაკის მატიანეში" შეტანილია საგვარეულო არქივში დაცული ფოტომასალები. მნახველის ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა ფოტოხელოვანის გიორგი ნიკოლავას ფოტოები.



პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ პაატა ქურდოვანიძე, მარინე აბრამია, ნაირა ფოფხაძე, ლუიზა კემულარია და სხვები.

დიდი მოწონება ხვდა წილად ანსამბლ „მუსიკელის" წევრების დიმიტრი კაკულიას, უშანგი ჩილაჩავას, ილია ცომაიას, მალხაზ ხუნწარიას მიერ შესრულებულ სიმღერებს, ნიჭიერმა ხელოვანმა ლაშა ჭანტურიამ „მუსიკელის" წევრებთან ერთად გიტარის თანხლებით შეასრულა სიმღერა ჟიული შარტავაზე, დამუშავებული ლეონტი ჩიხლაძის მიერ.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის პირველი პირები, მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის მუშაკები, ადგილობრივი მედიის ჟურნალისტები, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

წიგნი დაიბეჭდა ქ.ქუთაისში, რედაქტორია აწ.განსვენებული ჟორა სორდია, კონსულტანტი ვაჟა დანელია.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რედკოლეგიამ დიდი მუშაობა გასწია წიგნის გამოცემისათვის საჭირო მასალების თავმოსაყრელად, ფოტოების მოსაძიებლად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სენაკელები ყურადღებით მოეკიდნენ ამ საქმეს, გამორჩეულად აღინიშნა სენაკელი ქალბატონის, ციცო ყურაშვილის თანადგომა ამ მნიშვნელოვან საქმეში.

გაზეთი „კოლხეთი" ულოცავს წიგნის გამოცემას ავტორებს და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

მედეა გაღათურია

საინტერესო შეხვედრა

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის, სოფლის მეურნეობის სფერო, ყველაზე პროდუქტიული და მატერიალური წარმოების თვალსაზრისით, ერთ-ერთი ძირითადი დარგია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოში მისი განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობის კუთხით პირდაპირ პროპორციულია...

სახელმწიფოს პრიორიტეტულ სამიზნეს დღეს ფერმერული მეურნეობის აღორძინება წარმოადგენს - ამ მხრივ ხორციელდება ღონისძიებები, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო სახსრებით. სოფლის მეურნეობის ამ სფეროს ორგანიზაციულ მოწყობას, გარდა ფინანსური ბაზისისა, სჭირდება გარკვეული ინტელექტუალური რესურსი, რომლის დაგროვებაშიც გვეხმარება სხვადასხვა საინფორმაციო-საკონსულტაციო აქტივობები...

2024 წლის 28 ივნისს, აშშ-ის საელჩოს პატრონაჟით და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ორგანიზებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაისში ჩატარდა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა თემაზე - „ნიადაგის დამუშავება დახურული გრუნტის პირობებში", რომელსაც ესწრებოდნენ მხარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, აღნიშნულ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოფლის განვითარების სააგენტოს სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებმა, მთავარი სპეციალისტის, ბატონ გიორგი ხარგელიას ხელმძღვანელობით.

შეხვედრა გაიმართა ამ სფეროსათვის დამახასიათებელ ბუნებრივ გარემოში - სათბურის ტერიტორიაზე, სადაც გარდა თეორიული შემეცნებისა, მონაწილეებს ჰქონდათ პრაქტიკული შესაძლებლობა გრუნტის ადგილზე ხილვისა...

ძირითადი აქცენტები გაკეთდა სასოფლო–სამეურნეო დარგში მცენარეთა ორგანული საშუალებებით მოყვანა-წარმოებაზე, იმ მეთოდოლოგიების ფართო სპექტრის ნაწილზე, რომლიც გარემოს დაცვას უჭერს მხარს, რომ ორგანული გზით მიღებული პროდუქციის სისტემები ეყრდნობა მის სპეციფიურ და განსაზღვრულ სტანდარტებს, რომლებიც გამიზნულია ოპტიმალური აგროეკოსისტემების მისაღწევად და მისაღებია სოციალურად, ეკოლოგიურად და ეკონომიურადაც...

საუბარი შეეხო აგრარული კულტურის განვითარების ბუნებრივ მეთოდებს - მიწის განახლებას როტაციული ფორმით, ნიადაგის „კომფოსტირებას" (სასუქის დაყენებას) მხოლოდ ბუნებრივი საშუალებების გამოყენების გზით...

შეხვედრისას, ასევე გახმოვანდა იმ სამართლებრივი გარანტიების შესახებ (როგორც პოზიტიური - წამახალისებელი, ისე ნეგატიური - ამკრძალავი ნორმები), რომელმაც ხელი უნდა შეუწყონ სოფლის მეურნეობის ამ დარგის ბუნებრივი საშუალებების გამოყენების გზით განვითარებას.

აქცენტები გაკეთდა ამ სფეროში გამოსაყენებელი ენერგიის ბუნებრივი საშუალებებით მიღებაზე - გრუნტის წყლების, მზის ენერგიის, ქარის გამოყენებაზე.

შეხვედრა ძირითადად წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ყოველგვარი პროფესიული კონიუნქტურის გარეშე დაესვათ შეკითხვები, ესაუბრათ პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე პრობლემებზე.

საბოლოო ჯამში აღნიშნული აქტივობა გამოდგა პროდუქტიული, რაც მოქალაქეებს დაეხმარებათ ორგანული, ეკოლოგიურად სუფთა ფერმერული მეურნეობის წამოწყებასა და მის შემდგომ განვითარებაში.

გიორგი გარუჩავა

დაბადებიდან 100

გამოჩენილი მკვლევარი

საზოგადოებრივი პროგრესის სოციალურ-ფილოსოფიური პრობლემების გამოჩენილი მკვლევარი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ ილიას ძე კალანდარიშვილი დაიბადა 1924 წლის 1 თებერვალს, ქალაქ სენაკში. 1948 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. სწავლობდა თსუ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის ასპირანტურაში. იქვე დაიცვა ჯერ საკანდიდატო, ხოლო შემდეგ, 1970 წელს – სადოქტორო დისერტაციები. 1952-1982 წლებში იყო თსუ დოცენტი, ხოლო 1971 წლიდან – პროფესორი. ვ. კალანდარიშვილი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თსუ ფილოსოფიის კათედრაზე (1974-1979 წწ.), შემდეგ, 1979 წლიდან, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), ჯერ ლექტორად, ხოლო 1981-1992 წლებში, როგორც ფილოსოფიის კათედრის გამგე. 1993 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ფილოსოფიისა და ეკონომიკური თეორიის საფუძვლების კათედრის გამგედ. 1994 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით. არჩეული იყო სენაკის საპატიო მოქალაქედ.

ვ. კალანდარიშვილი იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიისა, ამავე აკადემიისა (1996 წ.) და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მან დააარსა ეგრისის სამეცნიერო აკადემია, რომლის პირველი პრეზიდენტიც 1986 წლიდან თავად იყო. მონაწილეობდა საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოების, სოციოლოგიური ასოციაციისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნის“ ღონისძიებათა მომზადებასა და ჩატარებაში. გარდაიცვალა 1997 წლის 18 ოქტომბერს, 73 წლის ასაკში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№264, 24. 10. 1997) მეცნიერის გადაცვალებასთან დაკავშირებით საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის, ფილოსოფიის ინსტიტუტის, თსუ-ისა და აგრარული უნივერსიტეტების მიერ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში აღნიშნულია, რომ „პროფესორი ვახტანგ კალანდარიშვილი იყო არა მარტო მეცნიერი ფილოსოფოსი, არამედ ფართო დიაპაზონის განსწავლული პიროვნება, რომელიც უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა სტუდენტებში, ასპირანტებსა და კოლეგებს შორის. იგი იყო უაღრესად სათნო, მოკრძალებული და უპრეტენზიო ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ფიქრობდა ჩვენი ერის ბედნიერ მომავალზე. მეცნიერი ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებდა საქართველოს ბედნიერი ხვალინდელი დღისათვის აუცილებელ საქმეებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მომზადებულია მთელი თაობები, მათ შორის, მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ ღირსეული მასწავლებლის საქმეს.

ვახტანგ კალანდარიშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა დამოუკიდებელ საქართველოში ჯარის ჩამოყალიბებისა და მისი მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეს. გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ჩამოყალიბებისთანავე მან აკადემიის ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და დახმარებით დააფუძნა ფილოსოფიისა და ეკონომიკურ თეორიათა საფუძვლების კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. იგი თავდაუზოგავად იღვწოდა მომავალ ოფიცერთა კადრების აღზრდისათვის, უნერგავდა მათ სამშობლოს უანგარო სიყვარულს“.

ვ. კალანდარიშვილი 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 6 მონოგრაფიის ავტორი იყო. მისი შრომები ეხება ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემებს, საზოგადოებრივი პროგრესის სოციალურ-ფილოსოფიურ საკითხებს. ავტორი, თანაავტორი და რედაქტორი იყო სახელმძღვანელოებისა, სამეცნიერო კრებულებისა და მონოგრაფიებისა. დაუმთავრებელი დარჩა ნაშრომი – „ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების სოციალურ-ფილოსოფიური პრობლემები“.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვ. კალანდარიშვილის მონოგრაფიები და ცალკეული გამოკვლევები საზოგადოებრივ პროგრესზე, რომლებიც მეცნიერული კვლევის სიღრმითა და მასშტაბურობით გამოირჩევა. უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართული სოციალური აზროვნება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა საზოგადოებრივი პროგრესის პრობლემური საკითხების მიმართ: რაში მდგომარეობს საზოგადოებრივი პროგრესის არსი, რა გზით და საით მიემართება კაცობრიობა და როგორია მისი მომავალი, რა კრიტერიუმებით უნდა დადგინდეს პროგრესი, რა კანონზომიერებებს ექვემდებარება იგი და ა. შ.

სხვადასხვა დროს ცალკე წიგნებად დაიბეჭდა ვახტანგ კალანდარიშვილის გამოკვლევები: „ფრიდრიხ ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბების საკითხისათვის“ (თბ., 1961, 133 გვ.), „საზოგადოებრივი პროგრესის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 1969, 166 გვ.), „საზოგადოებრივი პროგრესის მეცნიერული თეორიის შემუშავება“ (თბ., 1974, 391 გვ.), „ფრიდრიხ ენგელსი საზოგადოებრივი პროგრესის შესახებ და თანამედროვეობა“ (თბ., 1980, 32 გვ.), „საზოგადოებრივი პროგრესი“: ლექცია კურსიდან „ფილოსოფია“ (თბ., 1991, 32 გვ.), „ფილოსოფიის საფუძვლები“ (338 გვ.).

ნაშრომში – „საზოგადოებრივი პროგრესის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ზოგიერთი საკითხი“ – მკვლევარი განიხილავს სოციოლოგიის ერთ-ერთ ძირეულ პრობლემას – საზოგადოებრივი პროგრესის პრობლემას. ვახტანგ კალანდარიშვილი შეეცადა სისტემატური ფორმით გაეშუქებინა საზოგადოებრივი პროგრესის მარქსისტულ-ლენინური გაგების ზოგიერთი ძირითადი საკითხი. „საზოგადოებრივი პროგრესის პრობლემა, – წერს მკვლევარი, – სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა, რომელიც იდეოლოგიური ბრძოლის ობიექტი იყო კლასობრივი საზოგადოების განვითარების ყველა ისტორიულ პერიოდში. პროგრესის იდეას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საზოგადოებრივი კლასების, მოწინავე და რეაქციული ძალების, პარტიების თეორიულ ბრძოლაში, მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის ბრძოლაში. იგი ამჟამადაც უშუალოდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მსვლელობასთან, ხალხთა მასების ბრძოლასთან სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის“ (ვ. კალანდარიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 3).

ნაშრომის I თავში განხილულია საზოგადოებრივი პროგრესის შესახებ არსებული შეხედულებები (ვ. კალანდარიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 5-60). II თავში მოცემულია მსჯელობა იმაზე, თუ როგორ გადაიჭრა საზოგადოებრივი პროგრესის საკითხი მეცნიერულად მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში.

საზოგადოებრივი პროგრესი, ვ. კალანდარიშვილის შეფასებით, საზოგადოების წინსვლითი მოძრაობაა, თანდათანობითი განვითარებაა აღმავალი ხაზით. „ეს ზოგადი ტენდენცია ხორციელდება განვითარების პროცესში დროებით შეფერხებათა, გადახვევათა და უკუქცევათა დაძლევის გზით. სხვანაირად რომ ვთქვათ, საზოგადოების პროგრესული განვითარების მსვლელობა წინააღმდეგობრივია და ამ წინააღმდეგობრიობის წარმოდგენის გარეშე ისტორიის გაგება... არადიალექტიკური და არამეცნიერულია“ (ვ. კალანდარიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 71).

საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი გამოხატულებაა ადამიანთა ინტერესების ცვლილება და განვითარება. ამიტომ, ცხადია, რომ „პროგრესის ცნება არ შეიძლება განისაზღვროს „ინტერესის“ ცნებით. „საზოგადოებრივი პროგრესის ცნება შეიცავს შინაარსს, რომელიც დამოუკიდებელია როგორც ცალკეული ადამიანისაგან, ისე მთელი კაცობრიობისაგან. პროგრესულობის მაჩვენებელი გამომდინარეობს საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარების ობიექტური ტენდენციიდან და არა რაიმე განსაზღვრული ზნეობრივი იდეალიდან“ (იქვე, გვ. 74).

საზოგადოებრივი პროგრესი, ვ. კალანდარიშვილის შეხედულებით, სოციალურ-ისტორიული განვითარების კანონია. ესაა თანდათანობითი აღმავალი ხაზით განვითარება დაბალიდან მაღლისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ. საზოგადოებრივი პროგრესი რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. ესაა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა განვითარება და ცვლა, რაც ეფუძნება წარმოების წესს, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარებას. წარმოების წესი ცალკეულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა სტრუქტურის განმსაზღვრელია (იქვე, გვ. 129).

მკვლევარი მიმოიხილავს ლაფარგის, შოპენჰაუერის, ნიცშეს, ვინდელბანდის, რიკერტის, ვებერის, ტოინბის, ვიზეს, როსტოუსა და სხვათა შეხედულებებს საზოგადოებრივ პროგრესთან ურთიერთმიმართებაში. მარქსიზმის მსოფლმხედველობრივ პარადიგმებზე დაყრდნობით ვ. კალანდარიშვილი წარმოადგენს საბჭოთა იდეოლოგიით ნაკარნახევ, კონიუნქტურულ, დოგმატურ და სუბიექტივისტურ შეფასებას, შემდეგი „დასკვნის“ სახით: „მხოლოდ ისტორიული მატერიალიზმი არკვევს მეცნიერების ნამდვილ როლს საზოგადოებრივ პროგრესში“ (იქვე, გვ. 160).

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ვ. კალანდარიშვილის მიერ 1974 წელს გამოცემული მონოგრაფიის („საზოგადოებრივი პროგრესის მეცნიერული თეორიის შემუშავება“) შემადგენელ ნაწილს. დასახელებულ მონოგრაფიაში საზოგადოებრივი პროგრესის მეცნიერული თეორიის შემუშავების ისტორია მეტად ფართო პლანითაა წარმოდგენილი – უძველესი დროიდან მარქსიზმის წარმოშობამდე, უპირატესად კი თვით მარქსისტული თეორიის ჩამოყალიბების ფარგლებში, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პოზიციებისადმი დაპირისპირებით.

ვ. კალანდარიშვილის თემატური და თეორიული სიახლით გამორჩეულმა ნაშრომმა დადებითი შეფასება დაიმსახურა. ფილოსოფოს რ. გოლეთიანის შეფასებით, „მონოგრაფიამ შეავსო ხარვეზი, რომელიც საბჭოთა სოციოლოგიურ ლიტერატურაში არსებობდა. სახელდობრ, მასში საფუძვლიანად და არგუმენტირებულად არის გამოკვლეული, თუ როგორ შემუშავდა მარქსისა და ენგელსის საზოგადოებრივი პროგრესის კონცეფცია, მათი მსოფლმხედველობრივი ევოლუციის პროცესში, იდეალიზმიდან მატერიალიზმზე და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში“ (იხ. რ. გოლეთიანი, ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრი: მიმართულებები, თავისებურებანი. 1918-2000. ქუთ., 2001, გვ. 134).

საზოგადოებრივი პროგრესის საკითხებს ეხება აგრეთვე ბროშურა – „ფრიდრიხ ენგელსი საზოგადოებრივი პროგრესის შესახებ და თანამედროვეობა“. მკვლევარი აშუქებს ენგელსის როლს საზოგადოებრივი პროგრესის მარქსისტული თეორიის შემუშავებასა და განვითარებაში. ენგელსის იდეური მემკვიდრეობის შუქზე ნაჩვენებია თანამედროვე საზოგადოებრივი პროგრესის და მის გარშემო იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებანი.

1991 წელს გამოცემულ ლექციაში მკვლევარს გაშუქებული აქვს საზოგადოებრივი პროგრესის არსი, საზოგადოებრივი პროგრესის ზოგადსოციოლოგიური კრიტერიუმი და მისი მამოძრავებელი ძალები, მსოფლიო ისტორიული პროცესის ერთიანობა და მრავალფეროვნება. მკვლევარი ეხება საზოგადოებრივი პროგრესის ცნების შინაარსს და აღნიშნავს, რომ ცნება „პროგრესი“ (ლათ. პროგრესსუს – წინსვლითი მოძრაობა) ფართოდ გავრცელებულია ლიტერატურაში და ჩვეულებრივ ცხოვრება საზოგადოებრივი პროგრესის ზოგადფილოსოფიური ცნების განსაზღვრებისათვის, ვ. კალანდარიშვილის თქმით, აუცილებელია გაირკვეს განვითარების, პროგრესისა და რეგრესის ცნებათა ურთიერთობა. განვითარების ცნებას ხშირად აიგივებენ ცვლილების ცნებასთან. ცვლილება ახასიათებს სინამდვილის ყველა მოვლენას, განვითარება კი ცვლილების განსაკუთრებულ ტიპს და ცვლილებისა ან ცვლილების ერთობლიობისაგან განსხვავებით უფრო რთულ პროცესს წარმოადგენს. განვითარების ცნების გაგებისთვის უნდა იქნას განხილული თვით განვითარება, პროგრესის ცნებასთან მიმართებაში. „განვითარება და პროგრესი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი რიგის ცნებებს მიეკუთვნებიან, იგივეობრივნი არ არიან. განვითარება უფრო ფართო ცნებაა და პროგრესთან ერთად რეგრესსაც შეიცავს. განვითარება ყოველთვის არაა პროგრესი, პროგრესი კი ყოველთვის განვითარებაა“ (ვ. კალანდარიშვილი, საზოგადოებრივი პროგრესი, თბ., 1991, გვ. 8).

ვ. კალანდარიშვილი შენიშნავს, რომ თანამედროვე ახალი აზროვნების ცენტრალური ძირითადი იდეა არის საზოგადოებრივი პროგრესის საფუძვლად ზოგადსაკაცობრიო ინტერესებისა და ღირებულებების პრიორიტეტის აღიარება. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებში იგულისხმება არა მხოლოდ სულიერი კულტურისა და მორალის მიღწევები, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიღწევები, რომლებიც მოიცავს საზოგადოებრივ წარმოებას, საკუთრებას, დემოკრატიის ფორმებს, სამართალს, თვითმმართველობას და სხვა საზოგადოებრივ მოვლენებსა და ინსტიტუტებს. ერთ-ერთ კრიტერიუმად მკვლევარი მიიჩნევს ეროვნულ ღირებულებებსაც, ვინაიდან ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების ჰარმონიული შეხამება საზოგადოებრივი პროგრესის წინაპირობაა. „ამ ზოგასაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების არსი ჰუმანიზმია, რომლის პრინციპების განხორციელების საფუძველზე უნდა განვიხილოთ თანამედროვე საზოგადოებრივი პროგრესის პერსპექტივები. ამიტომ ჰუმანიზმის, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ინტერესების, ღირებულებისა და იდეალების ჰარმონიული შეხამება საზოგადებრივი პროგრესის აუცილებელი პირობაა“ (იქვე, გვ. 30).

ვახტანგ კალანდარიშვილის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ისტორიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით დაწერილი გამოკვლევები, ი. სემიონოვის, გ. ოსიპოვის, ა. გულიგას, ა. ტიტარენკოს, ვ. მშვენიერაძის, გ. ბანძელაძის, ი. ნაჭყებიასა და სხვათა ნაშრომებთან ერთად, მეტად ფასეულია საზოგადოებრივი პროგრესის თეორიული საკითხების სისტემური და მაქსიმალური ყოველმხრივობის გაშუქების თვალსაზრისით. ამ პრობლემის კვლევა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, უპირატესად, საზოგადოების ფორმაციული განვითარების პრობლემათა შესწავლის მიმართულებით გაგრძელდა, რაშიც პროფ. ვახტანგ კალანდარიშვილის დამსახურება მეტად თვალსაჩინოა.

იგორ კეკელია, ისტორიის დოქტორი,
ფოთის №15 საჯარო სკოლის პედაგოგი

რას მოგვითხრობენ ძველი ჩანაწერები

ახალი რუბრიკით ,,რას მოგვითხრობენ ძველი ჩანაწერები" ვაცოცხლებთ მუნიციპალიტეტის წარსულის მნიშვნელოვან ეპიზოდებს. ქვემოთ მოცემული წერილით დღეს ქალბატონი ცისანა ყურაშვილი ფართო აუდიტორიას სენაკის წარსულიდან ბევრ უცნობ და საინტერესო ამბებს გააცნობს.

ქალბატონი ციცინო ყურაშვილი პროფესიით ექიმ-სტომატოლოგია. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით. ამჟამად მუშაობს შპს ,,მკურნალში" ექიმ-სტომატოლოგად. არქივებსა და ადრინდელ პერიოდულ გამოცემებზე დაყრდნობით აგროვებს და ამუშავებს ისტორიულ ცნობებს წარსულზე.

ლევ ტოლსტოი, ბერსი და ერისთავის ასული

ლევ ტოლსტოი

სენაკის ისტორიის ძველი საგაზეთო და საარქივო ჩანაწერების გაცნობისას არაერთი საინტერესო ცნობა ამოტივტივდება ხოლმე. მოხდა ისე, რომ საკმაოდ დიდი ხნის წინ ნანახი გაზეთ „დროების" ეს კორესპონდენცია ჩამრჩა მეხსიერებაში:

„ახალ-სენაკის უეზდის უფროსის უფ. ბერსის თაოსნობით, ერთის ახლო ალაგიდამ თუჯის მილებით გამოუყვანიათ წყალი და ქალაქის შუა ალაგზე ჩინებული, დიდი აუზი გაუკეთებიათ, და ამჟამად იმდენი წყალია, რომ ორ ამოდენა ქალაქსაც კარგათ ეყოფაო.

ამ გარემოებას უნდა მივაწეროთ ისაო, ამბობს ჩვენი კორესპოდენტი, რომ ახალ- სენაკში ახლა უფრო მსწრაფლად მიდის სახლების შენებაო; თუმცა ომიანობის მოელიან, მაგრამ ეს არავის აშინებსო" („დროება" 1877წ N4).

დამამახსოვრდა ალბათ იმიტომ-,რომ ახლად შექმნილი სამაზრო ცენტრისთვის, დამეთანხმებით, დიდად მნიშვნელოვანი და სასიკეთო სამუშაო ჩაუტარებია „უეზდის უფროსს" ბერსს, არა მარტო ახალ-მოსახლეთა დასახლების ხელშეწყობისთვის, არამედ ხშირად გაჩენილი ხანძრებისგან ხის სახლებისა და დაწესებულებების დასაცავადაც. 1880-იან წლებში თუჯის მილებით წყლის გამოყვანა ვფიქრობ პროგრესული ნაბიჯი იყო არა მარტო სენაკისთვის. დავინტერესდი და ვეცადე გამეგო ვინ იყო ეს ბერსი, მაგრამ მის მოღვაწეობაზე ჩვენს პატარა ქალაქში სხვა ვერანაირი ინფორმაცია ვერ ვიპოვე მაშინ.

და აი, ახლახან ისევ წავაწყდი ამ გერმანულ გვარს ინტერნეტში და იმდენად საოცარი ისტორიები აღმოვაჩინე, ვფიქრობ საინტერესო იქნება სენაკელებისათვის და არა მარტო მათთვის. ნაწყვეტი ერთი პუბლიკაციიდან:

„გამოდის მოწმე, რომლის გამოჩენისას დარბაზში უცებ ჩამოვარდა სიჩუმე. მოძრაობა და ჩოჩქოლი შეწყდა. ყველა სულმოუთქმელად ელის, რას იტყვის ის. მოწმე ახალგაზრდა, რუსი ქალია. პოლკოვნიკ ბერსის ცოლის მოახლე და მისი მესაიდუმლე. ქალი იწყებს ჩვენების მიცემას და კრიმინალური ამბავი რომანტიკულ ელფერს იძენს.ამბავში ჩნდება მთავარი გმირი, პოლკოვნიკ ბერსის ახალგაზრდა მეუღლე, 22 წლის ფატი ერისთავი, რომლის სილამაზის შესახებ მთელს საქართველოშია ცნობილი".

მივყვეთ თანმიმდევრობით. ახალი სენაკის დაარსების ისტორიიდან ცნობილია, რომ სენაკის მაზრის პირველი უფროსის – თავისი მემუარებით ცნობილი კორნელი ბოროზდინის (1857-1861) შემდეგ მაზრაში რამდენიმეჯერ შეიცვალა ხელმძღვანელი.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის, ანუ თორმეტი წლის შემდეგ, 1873 წელს სენაკის მაზრის მეხუთე უფროსად ინიშნება მაიორი ალექსანდრ ანდრეის ძე, მოსკოველი აზნაურის, მოსკოვის სასახლისა და მოსკოვის თეატრების ექიმის, ანდრეი ევსტაფის ძე ბერსის უფროსი ვაჟი.

ალექსანდრეს გარდა ანდრეი ბერსს კიდევ ჰყავდა შვიდი შვილი: სოფია ბერსი-ტოლსტოისა, ლევ ტოლსტოის მეუღლე, ელიზავეტა ბერსი, ტატიანა ბერსი- კუზმინსკაია, სახელმწიფო მრჩევლები პეტრე და სტეპან ბერსები, ასევე ვლადიმერი და ვიაჩესლავი.

დიახ, აღმოჩნდა რომ, ცნობილი რუსი მწერალი – ლევ ტოლსტოი ჩვენი მაზრის უფროსის სიძე ანუ დის – სოფია ანდრეის ასული ბერსის მეუღლე ყოფილა.

ცნობილია, რომ ტოლსტოის საკმაოდ დიდი ხნით ადრე ჰქონდა საქართველოსთან შეხება, დაქორწინებამდე მსახურობდა კავკასიაში, ცხოვრობდა აქ და ჰყავდა მეგობრები და თანამოაზრეებიც.

ამჯერად ტოლსტოის ცოლის ძმის საქართველოში ჩამოსვლა საეარაუდოდ განაპირობა ალექსანდრ ბერსის მეორე დის-ტატიანას მეუღლის-ალექსანდრე მიხეილის ძე კუზმინსკის კავკასიაში სამუშაოდ გადმოყვანამ. მასზე წერენ რომ იყო რუსი სამართალმცოდნე, შემდგომში სენატორი. კავკასიის სასამართლო უწყებაში დაინიშნა 1871 წელს



სენაკი XIX საუკუნის ბოლოს

ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი ტფილისის საოლქო სასამართლოში.

და აი, ალექსანდრ ანდრეის ძე ბერსი ანუ როგორც მას შინაურები ეძახდნენ- საშა, რომელიც იყო რუსეთის იმპერიის განათლების პირველი მინისტრის პიოტრ ვასილიევიჩ ზავადოვსკის შვილიშვილი, სწავლობდა და 1863წელს დაამთავრა კადეტთა კორპუსი, მსახურობდა პრეობრაჟენსკის პოლკში,1873 წელს ტოვებს პოლკს მაიორის წოდებით და მიდის კავკასიაში, სადაც მალევე ინიშნება ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის უფროსად.

აი, ასე აღმოჩნდა მაიორი ბერსი ჩვენს პატარა დაბაში.

ცხადია, საქართველოში მას მასპინძლობას უწევს უმცროსი და და ქუთაისის საოლქო პროკურორი სიძე. ცოლ-ქმარი ცხოვრობდა გუბერნიის ცენტრში, როგორც ამას ოჯახის უფროსის სამსახური მოითხოვდა. თანამედროვეთა დახასიათებით წარმოუდგენლად მომხიბვლელი, გულწრფელი და მხიარული, ტატიანა ბერსი მუდამ ქმნიდა ხალისიან ატმოსფეროს თავის ირგვლივ. შეუძლებელი იყო მისი არ შეყვარება. ლამაზად მღეროდა და მწერალი ლევ ტოლსტოი თავის მამულში იას-

კონსტანტინე ერისთავი
1859 -1931

ნაია-პოლიანაში სტუმრობისას ხშირად უწევდა აკომპანირებას.

მაგრამ ცხადია, მაზრის უფროსს სამსახური დაბა სენაკში ჰქონდა და იქ უნდა ეცხოვრა. როგორი იყო იმ დროს სენაკი, ვინ იყვნენ მაზრის ადმინისტრაციის ის მოხელეები, ვისთანაც შეხება და მუშაობა მოუწევდა იმპერიის ცენტრიდან ჩამოსულ ალ. ბერსს?

სენაკი ამ დროს ისევ პატარა დაბაა, თუმცა მაზრის ცენტრად დაიმკვიდრა თავი მოხერხებული ადგილმდებარეობის, რკინიგზის მშენებლობისა და სარკინიგზო მიმოსვლის განვითარების გამო.

აი, რას წერს გაზეთ „დროების" კორესპონდენტი იმ დროის დაბა სენაკზე:

„გაუდექი შუაგულ ბაზარს , ქუჩის დასათვალიერებლად. კაცმა მართლა უნდა თქვას, მდებარეობით და სიწმინდით ეს პატარა ქალაქი მშვენიერია: ჯვარედინათ გადაბმული ფართე როჭკით ქუჩების პირმწკრივ განწყობილი ფიცრული დუქნები, შუაგულ ბაზარში ბესეტკა, რომელიც საბაჟოს მაგიერია. მწვანე მინდორზე ლაზათიანად ამოყვანილი შადრევანი და აქვე მახლობლად რკინის გზა მშვენიერ სურათს წარმოუდგენენ მნახველს".

დოკუმენტებით ირკვევა, რომ 1873-77წწ სენაკის მაზრის მოხელეები იყვნენ: მაზრის უფროსის მაიორ ალექსანდრ ანდრეის ძე ბერსის მოადგილე- კოლეჟსკი სოვეტნიკი იოსებ სიმონის ძე ჭიჭინაძე,მდივანი -ტიტულიარნი სოვეტნიკი ნიკოლოზ ფირანის ძე დგებუაძე, საქმეთა მწარმოებელი-ტიტულიარნი სოვეტნიკი აქვსენტი ანჯაფარიძე;

ალექსანდრ ანდრეის ძე ბერსი
(1845-1918)

თარჯიმნები:კოლეჟსკი სეკრეტარი ივანე სიმონის ძე ახვლედიანი და გუბერნსკი სეკრეტარი ნიკოლოზ თოფურია.

პოლიციის პრისტავი კი დაბა სენაკში იყო ტიტულიარნი სოვეტნიკი ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძე

ახალ-სენაკში მაზრის უფროსი სად დაბინავდა, რა კავშირები და შეხება ჰქონდა ქართულ მაღალი წრის საზოგადოებასთან უცნობია, თუმცა ერთ წელიწადში მთელს საქართველოში სილამაზით ცნობილი გურული თავადის ასული- ფატი ერისთავი უკვე მის საცოლედ ითვლებოდა.

ანდრო ნიკოს ძე ჩიჯავაძის მემუარულ ჩანაწერებში (ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა" პუბლიკაციის ავტორი ბ. ხურცილავა. 1910წ. აპრილი) მის მიერ მოხსენიებულია ა. ბერსი:

„ეს ბერსი გამოგზავნილი იყო საქართველოში გამომძიებლის თანამდებობაზე და მოხვდა გურიაში, აქ მას მოეწონა – და სრული გასაგებიც იყო-სილამაზით არა მარტო გურიაში განთქმული ფატი, ერისთავის ქალი.

იმ დროში თუკი ქართველ ქალიშვილს თუნდაც წარჩინებული წოდებისას ვინმე უცხო გამოითხოვდა, მშობლები განუკითხავათ ატანდნენ და ბედნიერადაც მიაჩნდათ ასეთი შეუღლება,ასე მოიქცნენ ფატის მშობლებიც. მათ ფინანდაზით მიართვეს ვიღაც ბერნს თავისი მზეთუნახავი". უნდა ითქვას, რომ ოფიციალური დოკუმენტებით იმ დროს ბერსი ნამდვილად იყო სენაკის მაზრის უფროსი და ცნობილი ოჯახის წევრი, თორემ ერისთავის ქალს მშობლები „ვიღაცას" არ მიათხოვებდნენ.

მართალია, ბერსის უფროსობისას დაბის ცენტრში აიგო წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ხის შენობა, მაგრამ იმდენად პატარა ყოფილა, რომ წერენ 30 კაცს ძლივს იტევდაო. ალბათ ამიტომაც 1874 წლის იანვარს 30 წლის მაიორმა ალექსანდრ ანდრეის ძე ბერსმა და 18 წლის თავად დიმიტრი ერისთავის ულამაზესმა ასულმა – ფატიმ(ფატმანმა) იქორწინეს სოფ. ნატოჩაოს წმ. გიორგის ეკლესიაში, წყვილს ჯვარი დაწერა ბლაღოჩინმა მღვდელმა ნიკოლოზ კალანდარიშვილმა.

ცნობილი მწერლისა და მისი მეუღლის ოჯახი ამ ამბით გახარებულნი საქართველოში მილოცვის ბარათებს აგზავნიან

უდაოდ საინტერესოა, დიდი მწერლის-ლევ ტოლსტოის მილოცვის ბარათი ცოლის ძმას ალექსანდრეს, წერილი 1875 წლის იანვარსაა დაწერილი: „საშა ...მე მთელი სულით და გულით მიყვარს შენი საცოლე, ალბათ უკვე ცოლი. მე მიზიდავს მისი სილამაზეც, ახალგაზრდობაც და წარმოშობაც – ეს მნიშვნელოვანია, და კავკასია და შენი სიყვარული მის მიმართ... ნახვამდის,მომწერე ჩქარა და დაწვრილებით,და ჩემგან აკოცე ხელზე შენს საყვარელ ფატის და წარუდგინე მას ჩემი თავი ისე, რომ შემიყვაროს...დაწვრილებით მომწერე ოჯახთან ურთიერთობაზე".

1875წლის 22მარტით დათარიღებულ წერილში სოფია ბერსი განუმარტავს ძმას-საშას, რომ ლევ ტოლსტოი ზემოხსენებულ წერილში ოჯახთან ურთიერთობაში გულისხმობდა შეკითხვაზე პასუხს: „შეურიგდნენ თუ არა ახლობლები იმას, რომ ფატი შენზე დაქორწინდაო".

1875 წლის ნოემბერში საშა და ფატი სტუმრობდნენ დისა და სიძის ოჯახს იასნაია - პოლიანაში მეგობართან გაგზავნილ „ანა კარენინას" ავტორის წერილში საინტერესო ინფორმაციებია შემორჩენილი წყვილზე: „საშა დაქორწინებულია ულამაზეს და უსაყვარლეს თავად ერითავის ასულზე. ის ცოლთან ერთად ამ ზამთარს იყო ჩვენთან და ჩვენ ძალიან შეგვიყვარდა ის. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ის ქუთაისის გუბერნიაში მაზრის უფროსია და ჩანს კარგად მოეწყო და იმედი აქვს კიდევ უკეთ მოეწყობა. მისი მისამართია ქუთაისის გუბერნია, სენაკი"

მართლაც ფატი ერისთავი ისეთი ლამაზი იყო, ამბობენ, მისი სურათი საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში იყო გამოფენილი.

მისი ანგელოზისებრი სილამაზით აღფრთოვანებული იყო მიხაი ზიჩიც, ცნობილი უნგრელი მხატვარის

ფატი(მატროწა) დიმიტრის ას. ერისთავი
(1861-1898)

მიერ ლერმონტოვის „დემონის" მიხედვით დადგმულ ცოცხალ სურათებში ერთ-ერთ ქერუბიმს ფატი განასახიერებდა.

ერისთავის ასულის თაყვანისმცემელთა რიგებში იყო ახალგაზრდობისას კონსტანტინე (კოწია) დავითის ძე ერისთავი – გურული თავადიშვილი, გიორგი XIII ასულის-ნინოსა და გრიგოლ დადიანის შვილიშვილი, შემდეგში გურიის თავადაზნაურთა მარშალი, მწერალი, დრამატურგი, სწორედ ფატის მიუძღვნა ქართველმა დენდმა, კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის პოპულარულ სიმღერად ქცეული ლექსი: „ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი" (სიმღერა კინოფილმში „ქეთო და კოტე"

მიუხედავად ამისა, ჩანს, თავიდან ფატი გულგრილი იყო კონსტანტინეს მიმართ და რუსი სახელმწიფო მოხელე ირჩია ქმრად, თუმცა შემდეგ მისმა სიყვარულმა ლამის ცეხეში ამოაყოფინა თავი კოწია ერისთავს, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

ამ ისტორიის წერისას ალექსანდრ ბერსის მიერ დაბა სენაკისათვის გაწეულ სამსახურზე კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია აღმოვაჩინე 1876წლის გაზეთ „დროების" სექტემბრის(101) ნომერში:

„ვისაც ეს ქალაქი ხუთი და ექვსი თვის წინეთ უნახავს,დამერწმუნეთ, ის დიდს ცვლილებას დაინახავს აქ, თითქმის ცნობაც გაუჭირდება. ჩემზედ, რომელიც რამოდენიმე თვის უნახავი ვიყავი ამ ქალაქისა,ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ, სწორე უნდა მოგახსენოთ, აღტაცებაში მომიყვანა ამ ცვლილებებმა, რომელნიცა ჩემს უმყოფობაში აქ მომხდარან.

ციცინო ყურაშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჩვენი გაზეთის მკითხველი ელისო ლემონჯავას იცნობს, როგორც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას. მაღალი ინტელექტით და სულიერებით გამორჩეული ქალბატონი შემოქმედებითი უნარებით დაუჯილდოებია უფალს. და ისიც გვანებივრებს გემოვნებიანი პოეზიით, სულ ახლახანს გამოვიდა პუბლიცისტ ზაურ ნაჭყებიას რედაქტორობით მისი ლექსების კრებული „რას ხმაურობ საუკუნევ“. „კოლხეთის“ რედაქცია ულოცავს ქალბატონ ელისოს წიგნის გამოცემას და უსურვებს შემოქმედებით წინსვლას.

გთავაზობთ ამონარიდს რედაქტორის რეცენზიიდან და რამდენიმე ლექსს.

„საკუთარი ხმის პოეტი"

ეცნობი ელისო ლემონჯავას ხალას, გულწრფელ, სიყვარულითა და სითბოთი გაჟღენთილ ლექსებს და რწმუნდები, რომ წინამდებარე კრებული მშვენიერი საჩუქარია პოეზიის თაყვანისმცემლებისთვის.

ავტორი ხატოვნად გადმოსცემს თანამედროვე კაცობრიობის ტრაგიზმს. ჭეშმარიტად: ღმერთისა და ბიბლიის უარყოფა და კერპებისადმი დამონება ადამიანთა მოდგმას უფსრულისკენ მიაქანებს. ამ ტრაგიზმში ყველაზე ნიშანდობლივი მაინც სულიერი სიცარიელეა, რომლის შევსება ისევ და ისევ ღმერთის სიყვარულით და ბიბლიური სიბრძნის გათავისებით შეიძლება.

ელისო ლემონჯავას ლექსები ყურადრებას იპყრობს არა მარტო სათქმელის მარტივად გადმოცემით, არამედ, მელოდიურობითაც. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ავტორის ემოციები სინთეზირებულია შემეცნებით ღირებულებასთან.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მის ლექსებში საკუთარი პოეტური ხმა იგრძნობა - არავის ბაძავს, წერს გულწრფელად, ყოველგვარი ზიზილ-პიპილოების გარეშე, თუმცა, არც მხატვრული ელემენტებისგანაა დაცლილი მისი შემოქმედება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ თემატურად მრავალფეროვანია მისი შემოქმედება. არა აქვს ამოჩემებული თემები. წერს, რაზეც ეწერება, რაც მისი სულის სიმებს შეარხევს. სწორედ ამიტომ ვერ ვიპოვით მის ლექსებში ხელოვნურად შეკოწიწებულ, უემოციო სტრიქონებს, რაც დამახასიათებელია თანამედროვე ქართველი ლექსმწერებისთვის.

ვულოცავ ქალბატონ ელისოს პოეტური კრებულის დაბადებას, პოეტურ აღმაფრენას და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ.

ზაურ ნაჭყებია, პუბლიცისტი

****

კენკროვანებში დაკრთის ნიბლია
და დილის საზრდოს კანკალით ეძებს,
ჩვენ დავივიწყეთ ღმერთი, ბიბლია
და დავემონეთ საწუთროს კერპებს.
სული დაგვიშრა ... დაშაშრულია,
ფიქრის ნაკაწრით წამი ყოველი...
და მივაბიჯებთ გზაზე, სრულიად,
ცალკე - ჩვენ... ცალკე - წუთისოფელი...

****

დაღლილ დღეებს გადარეკავს ქარი,
სოფლის ფერდობს აფენია ნისლი,
გაიხედავ, ყველგან ნასახლარი
და ძარღვებში მიშეშდება სისხლი.
შარაგზაზე შიშისფერი მზერა,
ფენა-ფენა სძინავთ დაღლილ ფოთლებს,
თებერვალი მკითხავს ალმაცერად,
რა მტკივა და, ასე, რა მაშფოთებს..
დაიცალა, მიდიან და ვწუხვარ,
ქარი უსტვენს დაბოქლომილ სახლებს ...
ყვავყრანტალა აწიოკებს მუხას,
მარტოსული აქ გამოიზამთრებს...

****

ცოდვა-მადლის ორგიაში,
დაგიკეცავს ფრთები,
აფხაზეთის და ოსეთის,
გარეშე ვერ თბები.
გაყინული არის ძარღვში,
ცხელი სისხლი ჯიშის,
განა, გადაგვარებისთვის,
საფიცარო, იშვი!
განა, უნდა დაგვავიწყდეს,
ლურჯი მთა და ბარი,
ჩემი რომ ხარ, კარგი რომ ხარ,
იმიტომ შეგხარი.
ისეთი რა ბრალი მოგდგამს,
მტერი სულ რომ გყავდეს,
ჩემს წალკოტში სხვა რად მინდა
ყვავილებს მირგავდეს!
სამოთხის დარს მეცილება,
მოშურნეთა ჯოგი...
მიწა ვეღარ გაუყვიათ,
ძველისძველი მოდგმის...
შინაურიც არას გაკლებს,
გაგჩენია ბზარი,
ცისე შიგნიდან გიტყდება,
ვაი, ჩვენი ბრალი....
ვინ დაანთებს რწმენის კოცონს ,
დარდს ვინ შეაგროვებს,
ვინ გადიხდის ვაჟკაცურად,
გადასახდელ ომებს.
საქართველო, ვაი, ნანა,
დაგიკეცავს ფრთები...
გულში ყველამ თუ ჩაგიკრა,
ვიცი, რომ გათბები.
თმებში განა ჭაღარაა,
წლებმა დარდი დატოვა,
ბედნიერი ვინც გგონია, ისიც, ისიც მარტოა,
გაფრინდნენ თუ გაილალნენ,
ჩემი ფიქრის პეპლები,
დამიტოვეს დაფნის ნაცვლად,
გვირგვინები ეკლების...
რას ხმაურობ, საუკუნევ,
სისხლი რამ აგიჩქროლა,
გიკვირს განა, სიყვარულმა,
უცებ რომ ჩაგიქროლა...
მელნისფერი სიჩუმეა . .
აქ ჩვენ ვრჩებით, მარტონი...
დარდს სტროფებში აფარფატებს,
ჭაღარა ქალბატონი!

****

მე მოვიშორე ყალბი ნიღაბი,
ჩემივე თავის გასამართლებლად,
აჰა, შენ ფუნჯი და საღებავი,
არ დაგჭირდება სხვა განმარტება.
გაცრეცილია ხსოვნის ნიჟარა,
ღამე მშვიდია, როგორც ყოველთვის,
მომარჯვებული ფერთა სინჯარა,
ნათრთოლი სულის ღელვას მოელტვის.
ახლა მჭირდება მე საღებავი,
დღეს რომ სიცოცხლით შეაბარბაცებს,
როდის დავუწერ ლექსებს, ნეტავი,
ჯერ რომ არ ჩანან, იმ მამაკაცებს!
მე მოვიშორე ყველა ნიღაბი,
ჩემივე თავის გასამართლებლად,
აჰა, შენ ფუნჯი და საღებავი,
არ დაგჭირდება სხვა განმარტება!

****

ღამის მთევლების ჭრელ
ამქართან ლაღობ დილამდე,
ნაქალაქარის ცისე-გოჯი
სიზმრებში ყვინთავს...
ცხელ ნაკვერცხალზე, თუნდაც,
ირმის მწვადი ინატრე,
გამოგყვებიან შენი ძმები, საითაც გინდა!
გინდა, ზღვის ტალღებს მიესვენო,
ბედი მიანდო,
ან ლამაზმანებს გააყოლო თვალი მალულად,
იტოლუმბაშო და დილამდე, იდარდიმანდო,
ეკის მთებიდან, ბინდი ჩუმად შემოპარულა...
გინდა, კვლავ დაგხვდე,
მოლოდინით გათეთრებული,
შენი ლოდინი, გეფიცები, არ მომბეზრდება...
ღამის მთევლების ჭრელ
ამქართან დაშორებული,
მანდ, როგორა ხარ, ღამეა,
თუ ახლა თენდება?!

ახალგაზრდა ინოვატორი

მიწაში ჩადებული თესლი, თუ მას არ შეექმნა შესაბამისი პირობები, არ მიეცა შემდგომი განვითარების საშუალება, ვერ გადაიქცევა მცენარედ, შესაბამისად ნაყოფს ვერ მოგვცემს და დათესვისას გაწეული შრომა მიწაშივე ჩაიკარგება...

ამ აზრთან უშუალო ბმაშია ჩვენი დღევანდელი რესპოდენტი, მისი: უნარები, შრომისმოყვარეობა და ამ გარჯით შექმნილი „კრეატივი“ . .

პროფესიისადმი თანდაყოლილი უნარები, ბუნებრივი მიდრეკილება, მისდამი ინტერესი ერთია და ამავე დროს თუ მას თან ახლავს ზოგადი შემოქმედებითი ფანტაზია (შეძლება იმისა, რომ ეს ნიჭი ინოვაციურად, შედეგზე ორიენტირებულად წარმოაჩინო), გარეგნულად კიდევ უფრო აკეთილშობილებს აღნიშნულ დისციპლინას და სრულყოფილს ხდის შედეგს. წარმოგიდგენთ აღნიშნული უნარებით დაჯილდოვებულ ახალგაზრდა ინოვატორს, შემოქმედებით ფერმერს, ლევან კვაშილავას.

ლევანი, ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი ახალგაზრდაა, ამ სოციალური სტატუსისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით, მაგრამ, თუ მას ახლოს გაიცნობთ, გაესაუბრებით, შეხვალთ მის ყოფით სიღრმეებში, ნახავთ რომ, ნურას უკაცრავად, ის განსხვავდება სხვებისგან შემოქმედებითი უნარებით, გარესამყაროსადმი თავისი დამოკიდებულებით, შრომისმოყვარეობით, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.



ჩემი რესპოდენტი 23 წლის ახალგაზრდაა, წარმოშობით აფხაზეთიდან, ქალაქ გაგრიდან, ყავს დედ-მამა და უმცროსი ძმა, დროებითი ოკუპაციიდან გამომდინარე, მისი აფხაზური კერის შესახებ ინფორმაცია მას მხოლოდ მშობლების მონათხრობიდან აქვს მიღებული. ლევანი დაიბადა რუსეთის ფედერაციის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში, მანდვე მიიღო საშუალო განათლება. სკოლის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ კოლხეთს... დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით. არ დასჯერდა ერთ დისციპლინას და ჩააბარა ისეთ პრაქტიკულ და პროდუქტიულ საბუნებისმეტყველო სპეციალობაზე, როგორიცაა ვეტერინარია, ამ განხრით სწავლობს „შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში“, პარალელურად მონაწილეობს პროგრამულ-შემოქმედებით აქტივობებში. გარდა საგანმანათლებლო საქმიანობისა, ის 2020 წლიდან ეწევა პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობას მეფრინველეობის დარგში, რომელიც ოჯახის სახსრებით წამოიწყო და დღემდე ანხორციელებს სამოქალაქო ბრუნვიდან მიღებული საშემოსავლო საშუალებებით, ვინაიდან, სამწუხაროდ, სახელმწიფო საგრანტო პროგრამები იშვიათი ჯიშის დეკორატიულ ფრინველებზე არ ვრცელდება... დღეს ცხოვრობს წინაპრების (ბებიის) ფუძეზე, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ სენაკში - სადაც მოწყობილი აქვს სხვადასხვა სახეობის დეკორატიული ფრინველების ფერმა, ფერმის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ მანდ ბინადრობენ იშვიათი ჯიშის ფრინველები:

ქათამი, თერთმეტი სახეობის: ფრანგული მარანსი (სააღდგომო კვერცხმდებელი); ამერიკანა (ცისფერი უქოლესტერინო კვერცხმდებელი), ლივენური, კოლუმბიური ბრამა, კორნუელის მებრძოლე, პლიმუთ-როქი, ჯერსის გიგანტი, აბრეშუმი, ჯუჯა კოხი, ოლივ ეგგერი (ზეითუნის ფერის კვერცხმდებელი), ვერცხლის ვიანდოტი;

ფარშევანგი, ორი სახეობის: ინდური, არლეკინი;

ბატი, ორი სახეობის: ხოლმოგორი, ტულუზი;

იხვი, ერთი სახეობის - რუანი...

აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემთხვევაში ლევანი არ გამორიცხავს, ფერმერული საქმიანობა მანდ გადაიტანოს.

ლევანის შემოქმედებითი უნარებით ჩემს გაოცებას თან დაერთო ცნობისმოყვარეობა იმაზე, თუ რა ძალამ უბიძგა ამოდენა საქმისკენ მის ჯერ კიდევ ნორჩ გონებას - მან არ დააყოვნა და მიპასუხა, რომ უნდოდა შეექმნა რაღაც განსხვავებული, ისეთი, რომელიც ჯერ კიდევ ინოვაციური (შედეგზე ორიენტირებული) იქნებოდა ჩვენს რაიონში... მართლაც შედეგი სახეზეა, მისი მცირე მეურნეობა, გარდა იმისა რომ იძლევა ოჯახისთვის მატერიალურ სიკეთეს, მას გააჩნია ესთეტიკური მხარე, ის გარეგნული მშვენიერება, რომელიც სულს აფაქიზებს, ეფერება და ანსანბლში ქმნის მრავალფეროვან დეკორაციას... ლევანი არ სჯერდება მყოფადს, ის იხედება მომავლისკენ, მას სურს გააფართოვოს მისი მეურნეობა, აღჭურვოს თანამედროვე ტექნოლოგიებით, გაამდიდროს ფერმა ყველაზე იშვიათი და ძვირადღირებული ფრინველებით.

დასასრულს გრიგოლ ორბელიანს დავესესხები და ვიტყვი:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, / თაყვანისცემა ღირსებას,/ ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს/და არა გვარიშვილობას“.

გ. გარუჩავა

შრომისმოყვარე და მიზანდასახული სტუდენტი

ამბავი, რომელიც უნდა გიამბოთ, თავისი სიხარულით და დარდით მრავალ წელს ითვლის, ხოლო მისი მთავარი გმირი ახალგაზრდა ქალი თეა მალანია შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტში სწავლობს, ამავე დროს არის ორი შვილის მზრუნველი დედა. ბევრი სხვა ახალგაზრდა დედის მსგავსად, სწავლისა და პირადი ცხოვრების დაბალანსების გამოწვევის წინაშე დგას, მაგრამ არ ნებდება. გამოცდების ჩაბარება შეიძლება განსაკუთრებით რთული იყოს, როდესაც ბავშვი ტირის და ყურადღებას ითხოვს, მაგრამ თეა რჩება მოტივირებული და მის ყველაზე დიდ მხარდაჭერად ოჯახს თვლის. იგი დარწმუნებულია, რომ შეძლებს მიაღწიოს დასახულ მიზნებს და გახდეს მაგალითი სხვა ახალგაზრდა ქალებისთვის, რომლებიც მსგავსი სირთულეების წინაშე დგანან.

მოვუსმინეთ თეას, რომელიც თვითონ გვიყვება როგორ წარიმართა მისი ცხოვრება დედის გარდაცვალების შემდეგ, როგორ მოუწია ნაადრევად ოჯახის შექმნა და როგორ შეითავსა პატარა გოგომ დიდი ოჯახის დიასახლისობა, ასევე გვიყვება თავის მიზანდასახულობაზე, თუ როგორ არ დაუკარგავს უმაღლესი განათლების მიღების სურვილი, როგორ ახერხებს ერთდროულად ოჯახზე, შვილებზე ზრუნვას, უნივერსიტეტში სწავლას და ლექსების წერას.

დავიბადე ქალაქ ფოთში. გავიზარდე სენაკის რაიონის სოფელ ზემო ფოცხოში, მყავს მამა, ძმა და და. დედა ადრე გარდამეცვალა, რამაც ძალიან დიდი ტკივილი მომაყენა. დედაშვილურ სიყვარულზე უფრო დიდი გრძნობა არ არსებობს დედამიწაზე, ისევე როგორც არ არსებობს დედის გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილზე უფრო დიდი ტკივილი. სკოლაში არც თუ ისე ცუდი მოსწავლე ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ უდედობის გამო სახლში დიასახლისობა მიწევდა, ვცდილობდი სწავლისთვის სათანადო დრო დამეთმო. ზემო ფოცხოს საჯარო სკოლაში ვსწავლობდი ცხრა კლასამდე, შემდეგ გადავედი ქალაქ ფოთის მეექვსე საჯარო სკოლაში, რომლის წარმატებით დამთავრებისთვის ქალაქ ფოთის მერიამ წარმატებული მოსწავლის სიგელით და ფულადი თანხით დამაჯილდოვა. მიუხედავად დიდი სურვილისა, ფინანსური სიდუხჭერის გამო და გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება ვერ მოვახერხე. თუმცა, პროფესიის დაუფლების მიზნით ჩავაბარე გამოცდები და მოვეწყვე ფოთის კოლეჯ „ფაზისში“ IT ტექნოლოგიის პროგრამაზე. მაგრამ სწავლის პერიოდი მხოლოდ 3 თვე გაგრძელდა. რადგან ამ პერიოდში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე და მალევე შევქმენით ოჯახი. მყავს ორი შვილი, ია და იოანე.

სწავლის გაგრძელებაზე ყოველთვის ვფიქრობდი, მაგრამ სანამ ბავშვები პატარები იყვნენ, ვერ ვახერხებდი. იმდენად ძლიერი იყო სწავლის გაგრძელების სურვილი, რომ ჩავაბარე შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტში. უნდა ავღნიშნო სწავლისა და ოჯახის ერთმანეთთან შეთავსება საკმაოდ რთულია, ოჯახი თავისას მოითხოვს, თან ბავშვებს ისეთი ასაკი აქვთ, რომ მუდმივად სჭირდება მშობლის მხარდაჭერა სწავლის კუთხით. თუმცა ამ დიდ გამოწვევას მე მგონი კარგად ვართმევ თავს.

ძალიან მიყვარს კითხვა, ლექსების წერა მოზარდობის ასაკში დავიწყე. 12 წლისამ დავწერე პირველი ლექსი დედაზე, შემდეგ მოყვა სხვა ლექსებიც. ჩემთვის პოეზია არის საკუთარი გრძნობების და ემოციების გამოხატვის კარგი საშუალება. ყოველთვის იმას ვწერ, რასაც ვგრძნობ. თითოეული ლექსი ჩემი გულის ამოძახილია. საჯაროდ არასოდეს გამომიტანია და მხოლოდ შინაურულ წრეში თუ წამიკითხავს. პოეტი რომლის შემოქმედება ძალიან მიყვარს გალაკტიონია. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მონაწილეობის მიღება „ვეფხისტყაოსნის“ საჯაროდ კითხვის ღონისძიებაში, სადაც წავიკითხე „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურად.

თეას დადებითად ახასიათებენ უნივერსიტეტში, ის ქალბატონმა ლეილა ცომაიამ გაგვაცნო, რომელმაც აღნიშნა: თეა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტია, ჰყავს ორი შვილი. იშვიათად მინახავს მისი მსგავსი მიზანდასახული, შრომისმოყვარე, მონდომებული სტუდენტი. გარდა იმისა, რომ ბეჯითია, წერს ლექსებს. მისი ლექსებში იგრძნობა გულწრფელობა, რომელიც სიყვარულით და სითბოთია სავსე.

„კოლხეთის“ რედაქცია უსურვებს თეა მალანიას წარმატებულ და შემოქმედებით საქმიანობას.

მ.გერგაია

მკითხველებს ვთავაზობთ თეას რამდენიმე ლექსს

****

ერთხელ, როდესაც ჰკიოდა ქარი
ქუჩაში ფეხაბმით დარბოდა ბავშვი.
ეძებდა მშველელს, არ ჩანდა არვინ
მას სიცივისგან უთრთოდა ტანი.
ირგვლივ ბნელოდა, ქუხდა და ქუხდა,
ღამე სულების შეკრებას ჰგავდა,
ბავშვი ტიროდა ძალზედ მწუხარედ,
სულ მარტოს გვერდით არავინ ჰყავდა.

****

ადამიანი ამინდს ჰგავს,
მასავით ცვალებადია.
ერთს გულში მზე თუ უცინის,
მეორეს გულში ავი დარია.

****

განთიადია...
დეკემბრის ცივ დილას,
ფანჯრის მინაზე წვეთად ჩამოდის ნამი,
შევეგებები მე ამ ალიონს,
სუნთქვით შევიგრძნო ყოველი წამი.
მშვენიერია, აღიქვა დილა,
როგორც საწყისი რაღაცა ახლის,
ზარები რეკენ...
მე კი ლიცლიცი გამათბობს სანთლის,
მდუმარე ლოცვით, პირქვე დამხობილს.
მიადვილდება ფიქრი ზენაზე,
მადლობას ვიტყვი, რომ ცოცხალი ვარ,
რომ ქვეყნად არ მაქვს ვინმესი ვალი.

პაემანი ტალღასთან

მზე იძირება შავი ზღვის ტალღოვან შრეში,
და გვტოვებს ამ ღამით სრულიად მარტოს,
ეს ტალღა, რატომღაც თავისკენ მიხმობს,
ალბათ მომიწევს ვიცეკვო ტანგო.
მზე ჩაიძირა, ჩაეფლო ზღვაში.
ირგვლივ ჩამობნელდა, დადუმდა ღამე.
და მთვარე გაჩნდა ანაზდად ცაზე,
საოცრად ღელვა დაეტყო ტალღებს.
რატომღაც მომინდა დამეკრა ტაში,
ქვიშაზე დამეტყო ჩემი კვალი,
რაღაც უცნაური ვიგრძენი ტანში,
მთვარის ნათებამ მომტაცა თვალი...
მზე ჩაიძირა შავი ზღვის ტალღოვან შრეში,
დაგვტოვა ამ ღამით სრულიად მარტო.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ისეთი სახელწიფო უწყებაა, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. სააგენტო აერთიანებს სამ კომპონენტს, ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს: ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს.

„აწარმოე საქართველოში ბიზნესის“ მიმართულების მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების/სასტუმროების შექმნისა და არსებული საწარმოს/სასტუმროს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა.

„აწარმოე საქართველოში ექსპორტის“ მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

„აწარმოე საქართველოში - ინვესტიციის“ მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სამეგრელო-ზემო სვანეთის საკონსულტაციო ცენტრის მენეჯერმა, ცირა მესხიამ, ბიზნეს სექტორის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ პირებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

„აწარმოე საქართველოში“

ქალბატონმა ცირამ შეხვედრაზე დეტალურად ისაუბრა სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრის მიერ განხორციელებული, დაგეგმილი და მიმდინარე პროგრამების შესახებ - „ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრი, რეგიონის მასშტაბით, საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსების, ბიზნეს უნარების გაუმჯობესების და საინფორმაციო მომსახურების მიმართულებით - ახორციელებს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ სხვადასხვა პროგრამას. ჩვენ დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსებას ექვსი მიმართულებით: გაყიდვები და მარკეტინგი; საგადასახადო საკითხები; იურიდიული საკითხები; ფინანსები და ბუღალტერია; ბიზნეს მოდელირება და სტრატეგიის დაგეგმვა; გაციფრულება.

ფინანსური დახმარების გაწევის გზით, რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით“.

აღნიშნული პროგრამით არაერთმა ადგილობრივმა მეწარმემ ისარგებლა. მათ აღნიშნეს, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობას, ხოლო სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი ფინანსური დახმარების გაწევის გზით ხელს შეუწყობს მოსახლეობის გააქტიურებას წამოიწყონ, ან გააფართოონ საკუთარი ბიზნესი.

მადონა სახოკია: „მაქვს საოჯახო სასტუმრო, რამდენიმე წლის წინ ვისარგებლე აღნიშნული პროექტით და მივიღე 70 % დაფინანსება. ვთვლი, რომ ძალიან კარგი პროექტია. ფინანსური დახმარების გაწევის გზით, პიროვნებას ეძლევა შესაძლებლობა წამოიწყოს ან გააფართოვოს საკუთარი ბიზნესი, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების თანადაფინანსება - 25 000 ლარის ფარგლებში. საჭიროებაზე მორგებული საკონსულტაციო მომსახურების მისაღებად შეუძლია მიმართოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის საკონსულტაციო ცენტრს, გაიაროს ბიზნეს დიაგნოსტიკა და აირჩიოს სასურველი საკონსულტაციო კომპანია“.

ნ. შონია

განცხადება

2-სართულიანი სახლი ეზოთი (ეზო - 750 მ2 ფართობით. მის: სენაკი, ვახტან მეფის ქუჩა N36) იყიდება ან იცვლება ბინაზე სენაკში.

ფასი და სხვა პირობები ურთიერთშეთანხმებით. საკონტაქტო მონაცემები-მობ: 593 200 613

ინდიანა ყალიჩავა

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბალთარია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი ჯომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33